

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის 2020 წლის  
საქმიანობის მოკლე ანგარიში



2020 წლის იანვარში სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობას წარუდგინა განაცხადი სახელმწიფო ენის სტრატეგიის მომზადების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 სექტემბრის № 553-ე დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო. გაიმართა საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოში შედის ყველა სამინისტროს მინისტრი და მოადგილე. სხდომაზე განიხილეს: სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) პრიორიტეტული მიმართულებები; სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და მათი მუშაობის წესი, აგრეთვე მიმდინარე საკითხები. სტრატეგიის მიზნებად ჩამოყალიბდა ის, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს: 1) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას; 2) აფხაზური ენის ფუნქციონირებისა და განვითარებას ოკუპაციის პირობებში. სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის: საქართველოს კონსტიტუცია, „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება. ამას გარდა, სტრატეგია პასუხობს საერთაშორისო ვალდებულებებს: ასოცირების შესახებ შეთანხმებას, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-10, მე-16), ევროპის კულტურულ და სხვა კონვენციებსა და ქარტიებს, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს. შეიქმნა სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამდივნო, რომელმაც დაიწყო შეხვედრები სამუშაო ჯგუფებთან ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან (21 თებერვალი) დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მხარდაჭერით გაიმართა ქართული და აფხაზური ენების დისტანციური კურსების პროექტების პრეზენტაცია; აქვე მოეწყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კონცეფციით შექმნილი და გამოცემული ქართული ენის დიალექტებისა და ქართველური ენების, აგრეთვე ქართულ-აფხაზურ-

ინგლისური, ქართულ-ოსურ-ინგლისური, უდიურ-ქართული, ბეჟიტურ-ქართული, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური და სხვა ლექსიკონების გამოფენა;

სახელმწიფო ენის დღე პანდემიის პირობების გათვალისწინებით, ძირითადად, ონლაინფორმატით აღინიშნა. სოციალურ ქსელში დაიგეგმა ორი აქცია: 1) „ჩემი ფრაზა“, რომლის მიზანი იყო ქართული ენის ხატოვანი კომპონენტის - ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომატური გამოთქმების გახსენება, გაცოცხლება-პოპულარიზაცია და 2) საინტერესო ამბები 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების შესახებ, აქციაში მონაწილეობდნენ როგორც მოსწავლეები, ისე ზრდასრული, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. შედეგები გავრცელდა დეპარტამენტის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე (<https://www.facebook.com/enisdepartamenti>).

14 აპრილის საყოველთაოდ აღნიშვნის მიზნით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩაატარა სამეცნიერო ვიდეოკონფერენცია.

მომზადდა და ბეჭდურად და ელექტრონულად გამოიცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მეორე ბიულეტენი, რომელშიც შესულია წინა წლებში სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები, ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესები და დეპარტამენტის სხვა რეკომენდაციები, კერძოდ: ქართული ენის ბგერითი სისტემის ლათინურად ტრანსლიტერაციის, ინგლისური, ჩინური, იაპონური, სპარსული, სომხური ენების ბგერითი სისტემების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები; რამდენიმე განახლებული ენობრივი ნორმა, რომლებიც მიღებულია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან თანამშრომლობით. ამათგან ერთი ნაწილი უკვე დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის 394-ე დადგენილებით. ბიულეტენში შევიდა სახელობითი ბრუნვის ფორმათა უკვე დიდი ხნის დადგენილი და მოქმედი ენობრივი ნორმის დარღვევით გამოწვეული პრობლემების ანალიზი და ის საფრთხეები, რომლებსაც ქმნის დე ფაქტო და დე იურე ნორმათა აცდენა ქართულ ენაში. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა

თარგმნის ძირითადი პრინციპების შემუშავებას უკავშირდება ბიულეტენში მოცემული მუნიციპალური ტოპონიმისა და გეოგრაფიული ობიექტების მართლწერასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ბიულეტენი სრულდება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით. ეს დოკუმენტი ეყრდნობა ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციების არაქართველი მოქალაქეებისათვის ქართული ენის სწავლებას, რაც სახელმწიფოში მათი ინტეგრაციისა და სამოქალაქო თანხმობის საფუძველია. იგი დაეხმარება ქართულის, როგორც მეორე და/ან უცხო ენის მასწავლებლებს, შემფასებლებსა და სასწავლო-მეთოდური მასალების შემქმნელებს, ასევე ქართული ენის შემსწავლელებს და ყველა იმ პირს, რომლებსაც აინტერესებთ საკუთარი ენობრივი კომპეტენციების შემოწმება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ბეჭდური სახით გამოცემული ბიულეტენი ვრცელდება საქართველოს უნივერსიტეტებსა და მთავარ ბიბლიოთეკებში, ბიულეტენის ელექტრონული ვარიანტი კი ატვირთულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ექსპერტთა კომისიასთან ერთად დაამტკიცა არაბული და ესპანური ენების ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები. დაიწყო მუშაობა რუსული, ფრანგული და გერმანული ენების ბგერითი სისტემების ქართული ენის ბგერით სისტემით ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებზე.

დაიწყო თანამშრომლობა სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და ბათუმის საზღვაო აკადემიას შორის თანამედროვე ქართულენოვანი საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნის მიზნით.

2020 წლის პირველ ოქტომბერს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა შეხვედრა გამართა ტექნოლოგიების ლატვიურ კომპანია „ტილდის“ ხელმძღვანელობასთან ენობრივი ტექნოლოგიების დარგში მომავალი თანამშრომლობის თაობაზე; საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის კვლევას, დაცვასა და განვითარების მიზნით ასევე შედგა შეხვედრები თურქული ენის პალატის თავმჯდომარესთან და თბილისის იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის

დირექტორთან. 2020 წლის 30 ოქტომბერს სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ეწვივნენ ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის უფროსი პოლიტიკური მრჩეველი მარკ ფუმაგალი და ეროვნული პროგრამის კოორდინატორი ნინო გოგოლაძე. მხარეებმა იმსჯელეს ერთი მხრივ, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასა და სწავლებაზე, მეორე მხრივ კი, უმცირესობათა ენების დაცვაზე. ასევე იმსჯელეს იმ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია აფხაზური ენის დაცვისა და განვითარებისათვის ოკუპაციის პირობებში.

დეპარტამენტი სისტემატურად გასცემს ზეპირ და წერილობით რეკომენდაციებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო, კერძო და მოქალაქეების მიერ დამზადებული სარეკლამო ბანერებისა და აბრების ტექსტებზე.